საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტი

დამტკიცებულია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 3, “9” “ივნისი” 2011 წელი
ცვლილებები შეტანილია აკადემური საბჭოს სხდომაზე
ოქმი № 6, “17” “ნოემბერი” 2011 წელი

რექტორი: ლ. ქელბაქიანი

ტურიზმის მენეჯმენტი

საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის ხელმძღვანელები:
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი გოდერძი შანიძე
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ლელა ქელბაქიანი

ქუთაისი 2011

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ტურიზმის მენეჯმენტი

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:

ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:

აკადემიური

სწავლების ენა:

ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სამი სავალდებულო და მეოთხე არჩევით საგნად გეოგრაფიის, ისტორიის ან მათემატიკის გამოცდის ჩაბარება და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება. ნებისმიერი მსურველი, რომელიც დააკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს დაშვებული იქნება პროგრამაზე რასის, მრწამსის, ოჯახური მდგომარეობის, ნაციონალური თუ ეთნიკური წარმომავლობის, ფიზიკური მდგომარეობის, აღმსარებლობის თუ სქესის მიუხედავად.

სფეროს აღწერა და პროგრამის აქტუალობა:

საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის ჩამოყალიბების კვალდაკვალ ორგანიზაციათა ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის სფეროსათვის პროფესიონალი კადრების მომზადება, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია დარგის განვითარება თანამედროვე დონეზე. სწორედ ამიტომ, წინამდებარე საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია ჰავაის წყნარი ოკეანის უნივერსიტეტის პროგრამის ანალოგიით, სადაც „ტურიზმის მენეჯმენტი“ (პროგრამის ამერიკული ანალოგის სახელწოდებაა მგზავრობის ინდუსტრიის მენეჯმენტი) ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მოთხოვნადი სპეციალობაა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

- განავითაროს სტუდენტის შესაძლებლობები იფიქროს, წეროს და ისაუბროს ეფექტურად და კრეატიულად;
- განუვითაროს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა, რომლებზეც არის დაფუძნებული საზოგადოების ურთიერთობა ინდივიდებთან და პირიქით;
- განუვითაროს სტუდენტს როგორც ანალიტიკური აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების და კომუნიკაციის უნარები, ასევე საკუთარი თავის ნდობა, პასუხისმგებლობა და თვითგანათლების უნარი;

- შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის;
- მოამზადოს ისეთი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესების კრიტიკულ გააზრებას და რომელსაც საფუძვლიანად ექნება შესწავლილი ბიზნეს საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ექნება პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები;

სწავლის შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს, და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს/კურსდამთავრებულს ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის, თუ მისი ცალკეული ეტაპის, დასრულების შედეგად.

ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულებს ექნებათ ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ზოგადი მენეჯმენტის სფეროში ტურიზმთან მიმართებაში:

- სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების დაგეგმვისა და მენეჯმენტის საფუძვლები
- დანიშნულების ადგილის განვითარების მეთოდები
- მგზავრთა ტრანსპორტირების თავისებურებები
- ექსკურსიების დაგეგმვა და ორგანიზება
- სპეციალური ღონისძიებების დაგეგმვა და დეტალური ბიზნეს-გეგმის შემუშავება
- მარკეტინგული და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ტურიზმის ბიზნესში

მნიშვნელოვანი პროცესებისა და პრობლემების კვალიფიციური ანალიზის მეთოდების ფლობა

- ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე ტენდენციებისა და მისი

განვითარების ძირითადი მიმართულებების ცოდნა;

- ტურიზმის ბიზნესში მენეჯერის პროფესიული ფუნქციების შესასრულებლად სათანადო

ტექნოლოგიების ფლობა

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები:

- სტუმარმასპინძლობის ინდუსტრის სტანდარტებზე დაყრდნობით გამოამჟღავნებენ ღრმა კომპეტენციას კვლევისას და მონაცემთა ანალიზის დროს;
- შეძლებენ ტურისტული და საკურორტო ობიექტების საინვესტიციო პროექტების დამუშავებას;
- შეიმუშავებენ ტურისტული და სამკურნალო-პროფილაქტიკური საწარმოების განვითარების კონცეფციას;
- შეიმუშავებენ ტურისტული და სამკურნალო-პროფილაქტიკური საწარმოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტებს;
- შეძლებენ ტურისტული და სამკურნალო-პროფილაქტიკური საწარმოებისათვის ფინანსური და ბუღალტრული მომსახურების გაწევას;
- გაიგებენ და აღიქვამენ ტურიზმის ინდუსტრიაში გარემოს დაცვისა და კულტურული მგრძნობელობის მნიშვნელობებს;
- გაარჩევენ და შეაფასებენ არჩევანს ნდობის, ურთიერთპატივისცემისა და პატიოსნების ღირებულებებზე დაყრდნობით;
- დაეუფლებიან ჯგუფურ მუშაობას, ხელმძღვანელობისა და მართვის უნარ-ჩვევებს;

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გამოიყენონ შესაფერისი გამოკითხვა-გამოკვლევის მეთოდები და საკუთარი მსჯელობა კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად. ისინი ანვითარებენ თავიანთ უნარს გადაამოწმონ, შეაფასონ, გამოიკვლიონ საკითხი და პრობლემების გადაჭრის ფართო სპექტრში ისეთი ცოდნა ჩადონ, რომელიც შესატყვისი იქნება საკვლევი სფეროსათვის.

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულებს ესმით კომუნიკაცია, როგორც პროცესი, და შეუძლიათ გააკრიტიკონ ინფორმაცია ან ვინმეს აზრი; გააკეთონ თავიანთი კომპეტენციის დემონსტრირება წერილობით, კომპიუტერის გამოყენებით, სიტყვიერად და ჯგუფური დისკუსიით; ჩასწვდნენ თავიანთ ფუნცქციებს, მასმედიის გავლენას და საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

<u>მშობლიურ ენაზე</u>

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია რეფერატული სახის შრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

<u>ინგლისურ ენაზე</u>

შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტების შედგენა ბიზნეს ტერმინოლოგიის გამოყენებით;

<u>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.</u>

იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, შეუძლია დამოუკიდებლად სხვადასხვა ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა, დამოუკიდებლად იმუშავოს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.

ღირებულებები

კურსდამთავრებულებს ესმით, რომ ბევრი სისტემის ურთიერთქმედება აერთიანებს გლობალურ საზოგადოებას, და ის, რომ ეს პოლიტიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამეცნიერო, ბუნებრივი და კულტურული სისტემები სცილდება ნაციონალურ და დისციპლინარულ საზღვრებს.

სტუდენტები ჩართული არიან მრავალფეროვან ინდივიდუალურ, სოციალურ და ესტეთიკურ ღირებულებათა სისტემებში და ანვითარებენ მოწიწებას ამ ღირებულებებათა და არჩევნების განსახვავებულობის მიმართ. ისინი ანვითარებენ და ხვეწავენ გაცნობიერებულ ფასეულობათა სისტემას, რომელიც განსაზღვრავს მათი ქცევის მიმართულებას.

კურსდამთავრებულებს შესწავლილი აქვთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანამედროვე და ისტორიულ კულტურათა ღირებულებები და ცხოვრების წესები, რაც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საშუალება ცხოვრების მიმართ განსხვავებული მიდგომების გაგებისა.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ,

ქუთაისის უნივერსიტეტში კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული სისტემა (ECTS), 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს სტუდენტის ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობას, დამოუკიდებელ მუშაობას და სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სხვა აქტივობებს, ქუთაისის უნივერსიტეტში სემესტრი არის 19 კვირიანი, მათ შორის 15 კვირა ეთმობა სასწავლო აქტივობებს.

<u>პროგრამის მოცულობა</u>

საბაკალავრო პროგრამის მთლიანი მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი საკრედიტო სისტემის შესაბამისად, მათ შორის:

- ზოგადი საუნივერსიტეტო განათლება - *75 კრედიტი*
- Major პროგრამა - *105 კრედიტი*
- *Minor პროგრამა - 60 კრედიტი*

ზოგადი საუნივერსიტეტო განათლება 75 ECTS

ზოგადი საუნივერსიტეტო განათლების კურსები უზრუნველყოფენ სტუდენტებს ფართო ცოდნით და ძირითადი უნარ-ჩვევებით, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ისინი ჩამოყალიბდნენ ინფორმირებულ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად მსოფლიოში. ზოგადი განათლების პროგრამა ორგანიზებულია შემდეგი 5 თემის ირგვლივ: კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, გლობალური სისტემები, კვლევა, ღირებულებები და არჩევანი, და მსოფლიო კულტურები. ზოგადი განათლების პროგრამა არის ბაკალავრიატის პროგრამის საფუძველი და მისი გავლა აუცილებელია ბაკალავრის ხარისხის მიღებისათვის.

ზოგადი განათლების საგნების

კომუნიკაციის უნარ-ჩვევების თემა

ამ ჯგუფში შემავალი საგნები ფოკუსს აკეთებს ზეპირ/არასიტყვიერ და წერილობით კომუნიკაციებში კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე შემდეგი მომენტების გათვალისწინებით:

- მოსმენა
- კითხვა
- წერა
- საუბარი და პრეზენტაციების ჩატარება
- გაგების უნარი (მიხვედრილობა) და ინტერპრეტირება

ინგლისური 1
ინგლისური 2
ინგლისური 3

ინგლისური 4
აკადემიური წერა
ინფორმაციის დამუშავება თანამედროვე ოფისში

გლობალური სისტემების თემა

ეს თემა ფოკუსს აკეთებს მომხმარებლის მომსახურებისა და მოგების გაგების ჩამოყალიბებაზე იმდენად, რამდენადაც იგი უკავშირდება ტურიზმის მენეჯმენტს ისეთ სფეროებში, როგორიცაა:

- პროცესების ნაკადების ურთიერთკავშირი სხვადასხვა სისტემებს შორის და ინდივიდუალური სისტემის ნაწილებს შორის
- დინამიური ურთიერთობა სისტემებს და სისტემის ნაწილებს შორის
    - გამოკვლევა და მონაცემთა შეგროვება
    - მონაცემების ანალიზი
    - მონაცემების სინთეზი-გარდაქმნა რელევანტურ ინფორმაციად
    - ინფორმაციის კონვერსია ლოგიკურ დასკვნებად
    - ალტერნატიული დასკვნების შეფასება
    - გადაწყვეტილების მიღება
    - მომხმარებელთა მომსახურება
    - ფასეულობები (ღირებულებები)
    - ნდობა
    - ურთიერთპატივისცემა
    - პირდაპირობა, პირიანობა
    - გუნდური მუშაობა
    - ლიდერობა (ხელმძღვანელობა)
    - პასუხისმგებლობა
    - ანგარიშვალდებულება
    - ინიციატივა
    - საფუძვლიანობა/მენტორობა

საზოგადოებრივი გეოგრაფია*

- *აირჩიე ჩამოთვლილთაგან ერთი საგანი:*

ქვეყანათმცოდნეობა
გეოპოლიტიკა
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

კვლევის თემები
ამ ჯგუფის საგნები ფოკუსს აკეთებს იმ კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე, რომლებზედაც დაფუძნებულია სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის სტანდარტები.
აირჩიე ჩამოთვლილთაგან სამი საგანი:

სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში 1*
სოციალური ფსიქოლოგია*

ღირებულებათა და არჩევანის თემები

ამ ჯგუფის საგნები დაკავშირებულია იმის შესაძლებლობასთან, რომ შეფასებული იქნას არჩევანი და გაანალიზებილი იქნას სპეციფიური ფასეულობების დემონსტრირების საკითხები

ეკონომიქსი 1*

ეკონომიქსი 2*

რელიგიის ისტორია

ბიზნესის ეთიკა

მსოფლიო კულტურების თემა

ამ ჯგუფის საგნები მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტს მსოფლიო ხალხების და კულტურების თავისებურებები და წეს-ჩვეულებები.

აირჩიე ჩამოთვლილთაგან ორი საგანი:

საქართველოს ისტორია

მე-19 საუკუნის ამერიკული ლიტერატურა

საქართველოს ეთნოლოგია

ევროპისა და ამერიკის ხალხთა ეთნიკური ისტორია და კულტურა

შენიშვნა: *-ით აღნიშნული საგნების არჩევა სავალდებულოა

ძირითადი პროგრამა

ზოგადი ბიზნეს განათლება 50 ECTS

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები
ფინანსური აღრიცხვა 1
მენეჯმენტის საფუძვლები
ფინანსები
სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში II
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 1*(ინტენსიური)
მათემატიკა ეკონომისტებისათვის 2
შესავალი ეკონომიკასა და ბიზნესში
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი
მარკეტინგის საბაზისო კურსი
ბიზნეს სამართალი

ძირითადი სპეციალობის საგნები 55 ECTS

სასტუმრო და საკურორტო ტურიზმის მენეჯმენტი
საზოგადოებრივი კვების მენეჯმენტი
ტურიზმის ინდუსტრიის მარკეტინგი
მგზავრთა ტრანსპორტირების მენეჯმენტი
დანიშნულების ადგილის მარკეტინგი

შესავალი სასტუმროსა და ტურიზმის ინდუსტრიაში
ექსკურსიათმცოდნეობა
ტუროპერეიტინგი
სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი
პრაქტიკა
საბაკალავრო ნაშრომი

დამატებითი (მაინორ) პროგრამები:

უნივერსიტეტი პროგრამის სტუდენტებს თავაზობს ხუთ Minor (დამატებით) პროგრამას:

- ✓ ბიზნესის ადმინისტრირება;
- ✓ ეკონომიკა;
- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- ✓ ინგლისური ენა;
- ✓ გამოყენებითი მათემატიკა.

სწავლების მეთოდები

პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები, რაც დეტალურად გაწერილია უნივერსიტეტის დიდაქტიკურ კონცეფციაში. დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების გზით სტუდენტთა ინტერაქციის ორგანიზება, მათი მიზანმიმართული ვარირებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის ათვისების ეფექტიანობას და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ამასთან ერთად, სასწავლო პროცესის დაგეგმვაც უფრო მრავალფეროვნად, სახალისოდ, საინტერესოდ (ცოდნის ათვისების ხარისხი, კრიტიკულად გააზრება) და მრავლისმომცველად (უნარ-ჩვევების გამომუშავება,მეტი ინფორმაციის დაფარვა) შეიძლება. ტრადიციული ლექციების კვალდაკვალ გამოყენებულ იქნება პრაქტიკული მეცადინეობები, სამუშაო ჯგუფები, პროექტები, შემთხვევების ანალიზი და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს შესაბამის ტურისტულ კომპანიაში პრაქტიკის გავლით, კომპანიაში ვიზიტებით და ასევე პრაქტიკოსი მენეჯერების სასწავლო პროცესში მონაწილეობით.

შეფასება

შეფასება არის საგნის, მოვლენის ან პროცესის შესაბამისობის განსაზღვრა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან. შეფასების საშუალებით უნდა დადგინდეს სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამით დასახულ შედეგებთან, ამ მიზნით გამოყენებულ იქნება შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნესკონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა წანამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემაჯამებელი. შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად, რომლებსაც, აგრეთვე, თავისი წილი აქვს ამ ელემენტის ფარგლებში.

ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

შეფასების მინიმალურ დადებით ქულად ითვლება 51.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს გამოცდა. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება მხოლოდ წერითი ფორმით.

სტუდენტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური
  შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
- რეფერატის (ესსეს) დაწერა/წაკითხვა, ნაშრომის მომზადება/პრეზენტაცია და სხვა. ეს ნიშნავს, იმას, რომ, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული რეფერატი, ან კურსის ხელმძღვანელის მიერ მიცემული სხვა დავალება, ის არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, ვიდრე არ წარმოადგენს აღნიშნულ რეფერატს, იმ შემთხვევაშიც კი თუკი სხვა აქტივობების ჯამით უგროვდება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის საკმარისი ქულები.
- ქუ-ის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების დაურღვევლობა.

შეფასების სისტემა

შეფასება ხდება ქულათა სისტემით და საგანში საბოლოო მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

მაქსიმალური ქულა მოდულის/საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემაჯამებელი. თითოეულს თავისი წილი აქვს. შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად (2 შუალედური გამოცდა, აუდიტორიული მუშაობა, ესსე და სხვა), რომლებსაც, აგრეთვე, თავისი წილი აქვს ამ ელემენტის ფარგლებში. კომპონენტებს შორის ქულათა წილების განაწილებისას უნივერსიტეტის მიერ დადგენილია შემდეგი შეზღუდვები, აუდიტორიული მუშაობისათვის არაუმეტეს 15 ქულისა, ფინალური გამოცდისათვის - არაუმეტეს 40 ქულა, დანარჩენ კომპონენტებს საგნის ლექტორი თავისი შეხედულებისამებრ ანაწილებს, რაც აისახება მის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში წარმოდგენილ სილაბუსში.

გ) ყოველი კონკრეტული საგნის შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ნიშანი A (ფრიადი)
- მაქსიმალური შეფასების 81-90% - ნიშანი B (ძალიან კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 71-80% - ნიშანი C (კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 61-70% - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- მაქსიმალური შეფასების 51-60% - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა, მაგრამ არაუმეტეს 1 თვის.

- მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - ნიშანი F (ჩაიჭრა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ქუში საბაკალავრო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და წარმატებით დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი.

GPA გამოთვლის წესი

GPA	ქულა
4.0	91%-ზე მაღალი
3.7	85 - 91%
3.3	81 - 84.9%
3.0	75 - 80.9 %
2.7	71 - 74.9%
2.3	61 - 70.9%
2.0	51 - 60.9%
1.7	41 -50.9%
1.3	30 - 39.9%
1.0	20 -29.9%
0.0	0.0 -19.9%

GPA ინდივიდუალური კურსისთვის:

GPA-ს მინიჭება ყოველი ინდივიდუალური სასწავლო კურსისათვის ხდება ზემოთ მოყვანილი ცხრილის საფუძველზე, მაგალითად თუ სტუდენტმა მიიღო 88 ქულა, მაშინ მისი GPA არის 3.7.

როგორ გამოითვლება კუმულატიური (დაგროვილი) GPA?

სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს სტუდენტის კუმულატიური GPA გამოითვლება ფორმულით.

კუმულატიური GPA = საერთო ქულათა ჯამი / ათვისებული კრედიტების ჯამი

საერთო ქულა = **ინდივიდუალური GPA** X **კურსის კრედიტი**

მაგალითად, ვთქვათ, აიღეთ ორი 3 კრედიტიანი სასწავლო კურსი და მათში შესაბამისად მიიღეთ 88 ქულა (GPA 3.7) და 78 ქულა (GPA 3.0), მაშინ კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:

საერთო ქულათა ჯამი = (3.7 X 3კრ.) + (3.0 X 3კრ.) = 11.1 + 9.0 = 20.1

ხოლო **კუმულატიური GPA** = 20.1 / 6 = **3.33**

ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

ა) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო გაიანგარიშება კუმულატიური **GPA**, რის მიხედვითაც შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

- **GPA 3.7 და მეტი** – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით.

- ყველა საგანში დადებითი შეფასება და **GPA 3.7-ზე ნაკლები**- ჩვეულებრივი დიპლომი

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა. ასეთ შემთხვევაში ის იხდის საგნის იმ ღირებულებას, რაც არის დადგენილი საგნის ხელმეორედ აღების პერიოდისათვის.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულთა დიპლომის პროგრამის დასრულების შემდეგ ქუ კურსდამთავრებულებს აძლევს

ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაცია მთელს მსოფლიოში ყველაზე უნივერსალური და პერსპექტიულია კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. ბიზნესი - დიდი თუ მცირე, სახელმწიფო თუ კერძო, ყველა ქვეყნის ეკონომიკის ღერძია, ხოლო სწორი არჩევანი განათლების მიღებისას გზას გაუხსნის კურსდამთავრებულებს წარმატებისკენ ამ სამყაროში. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი ტურიზმში დაეხმარებათ დაიკავონ პოზიციები ნებისმიერი საწარმოს მართვის ქვედა და საშუალო დონეებზე საჯარო თუ კერძო სექტორებში; მათ შორის: ტურისტული კომპანიის დირექტორატის ოფისებში, მარკეტინგსა და გაყიდვებში, კადრების მართვაში, ფინანსებში, ბუღალტერიაში, ადმინისტრაციაში, ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად: აუცილებელი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შენობა-ნაგებობები აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი ინვენტარით,

ადამიანური რესურსები

1. ნიკო ჩიხლაძე - სრული პროფესორი,
2. ციცინო დავითულიანი - ასოცირებული პროფესორი,
3. თეა კორძაძე - ასოცირებული პროფესორი,
4. რუსუდან გვილავა - ასოცირებული პროფესორი,
5. მაია ბერაძე - ასოცირებული პროფესორი,
6. დავით შავიანიძე - ასოცირებული პროფესორი,
7. დეზი მაღლაკელიძე - ასოცირებული პროფესორი,
8. ხათუნა შალამბერიძე - ასოცირებული პროფესორი,
9. ელგუჯა კონჯარია - ასოცირებული პროფესორი,
10. აკაკი ბაკურაძე - ასოცირებული პროფესორი,
11. ნაირა ვირსალაძე - ასოცირებული პროფესორი,
12. გოდერძი შანიძე - ასოცირებული პროფესორი,
13. ვაჟა გურაბანიძე - ასოცირებული პროფესორი,
14. ეკა ბაბუნაშვილი -ასოცირებული პროფესორი,
15. სერგო სვანაძე - ასოცირებული პროფესორი,
16. ნინო ხაზარაძე -ასოცირებული პროფესორი
17. პაატა კლდიაშვილი - ასისტენტ პროფესორი,
18. აზა იშირაძე - ასისტენტ პროფესორი,
19. თეა ვალიშვილი - ასისტენტ პროფესორი,
20. ოთარ შენგელია - მასწავლებელი,
21. ელგუჯა დეისაძე - მოწვეული სპეციალისტი,
22. გია ჭუმბურიძე - მოწვეული სპეციალისტი,
23. ეკა სხილაძე - მოწვეული სპეციალისტი,
24. დავით შამაევი - მოწვეული სპეციალისტი,
25. თეონა გრიგოლაშვილი - მოწვეული სპეციალისტი,
26. როლანდ ბრეგვაძე - მოწვეული სპეციალისტი,

27. დავით იობიძე - მოწვეული,
28. ერმალო ლანჩავა - მოწვეული, ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი,
29. ნანა ლუხუტაშვილი - მოწვეული, ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ბიზნეზის ადმინისტრირების მაგისტრი
30. ნესტან კუტივაძე - მოწვეული, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
31. მაყვალა კოღუაშვილი - მოწვეული, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
32. რამაზ ხაჭაპურიძე - მოწვეული, ისტორიის აკადემიური დოქტორი,
33. მაია ალავიძე - მოწვეული, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი.